კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	რეგულირებადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	სამართლის დოქტორი (0421)
ინგლისურად:	Doctor of Law (0421)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანება N01/05-111
პროგრამის განახლების თარიღი	29.06.2026, N01/01-69
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები **სრული ინფორმაცია იხ. " პროგრამის ხელმძღვანელის CV"**	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი

პროგრამის სტრუქტურა

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, *„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა" არის „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს."*

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სადოქტორო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს (6 სემესტრი). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს აქტიური დოქტორანტის სტატუსით სწავლას აგრძელებდეს არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 20-20 კალენდარულ კვირას. შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტები და კრედიტები	
სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი	-
სასწავლო კომპონენტი	
პირველი თემატური სემინარი (სავალდებულო)	20 ECTS კრედიტი
მეორე თემატური სემინარი (სავალდებულო)	20 ECTS კრედიტი
იურიდიული კვლევის მეთოდები და დისერტაციის მომზადების სტანდარტები (სავალდებულო)	10 ECTS კრედიტი

სწავლების ინოვაციური მეთოდები (სავალდებულო)	5 ECTS კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო)	5 ECTS კრედიტი
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი	
➢ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სრულდება სასწავლო კომპონენტის ამოწურვის შემდეგ და გრძელდება არანაკლებ 2 წელი.
შენიშვნა:	

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სამართლის სკოლის დოქტორანტი ადგენს **ინდივიდუალურ კვლევით გეგმას** სამეცნიერო ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით. კვლევითი გეგმა მოიცავს დისერტაციაზე მუშაობის გრაფიკს. გეგმა ასევე მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის გრაფიკს. ორივე სამეცნიერო სტატია (პროგრამითა და დებულებით დადგენილი სტანდარტის დონეზე) და საკონფერენციო მოხსენება დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან და მათი შესრულება წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართალში ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიღებული უნდა იყოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთიანად ან, პროგრამის ორ ნაწილად განხორციელების შემთხვევაში, ორივე ნაწილის სრულად დასრულების, ჯამურად არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვებისა და სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის საფუძველზე. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირს, რომელიც 2026 წლის 1 სექტემბრამდე ჩაირიცხა არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დაასრულა აღნიშნული პროგრამა. დოქტორანტობის კანდიდატს შესაბამის სფეროში უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი შემდეგი გამოცდილება ან მიღწევა: არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი ან პუბლიკაცია; სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა; შესაბამის სფეროში პროფესიული საქმიანობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე. ინგლისური ენის ცოდნა დასტურდება ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტით ან საშუალებით: შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით, მათ შორის IELTS-ის არანაკლებ 6.0 ქულით, TOEFL-ის არანაკლებ 78 ქულით ან B2 დონის დამადასტურებელი სხვა საერთაშორისო სერტიფიკატით; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატით; ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით, თუ აღნიშნული პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელზე მეტი; კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარებით, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონესთან შესაბამისობის დადგენას. თუ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა ქართულია და დოქტორანტობის კანდიდატის მშობლიური ენა არ არის ქართული, კანდიდატი ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა შესაბამისი სერტიფიკატით ან წარმატებით ჩააბაროს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა გამოცდა ქართულ ენაში. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის საფუძველზე სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით. უცხოეთში მიღებული განათლება ან კვალიფიკაცია აღიარებული უნდა იყოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დოქტორანტობის კანდიდატის პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები, წარსადგენი დოკუმენტები, შესარჩევი პროცედურები და შეფასების წესი განისაზღვრება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

სადოქტორო პროგრამის მიზანი	

სადოქტორო პროგრამის მიზანია :

- ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
- დოქტორანტებში ზუსტი და მაღალი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება;
- თეორიულ-დოქტრინალური, დოგმატური და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული ღრმა სწავლებისა და გააზრების პროცესში, სამართლის თეორიისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების (ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე) გადაწყვეტის მიზნით, სამართლის კონკრეტულ დარგში/ქვედარგში ახალი ცოდნის გენერირება, ინოვაციური მიდგომების განვითარება-დანერგვა, წარმოჩენა და დემონსტრირება იმგვარად, რომ მოახდინოს ზეგავლენა ისეთი ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას, სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, სოლიდარული, მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერებას;
- მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი, აკადემიური პატიოსნების ურყევ დაცვაზე ორიენტირებული, მაღალეთიკური პროფესიული ქცევისა და კეთილსინდისიერების მქონე, ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების ერთგული სპეციალისტის მომზადება.

პროგრამის სწავლის შედეგები	

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:

A. ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

A1. აღწერს სამართლის დარგის ან ქვედარგის ფარგლებში აკუმულირებულ სამეცნიერო და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, მათ შორის, მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში, დარგის/ქვედარგის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ საწყისებს და განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ეროვნულ ან/და გლობალურ დონეზე (სხვადასხვა სამართლის სისტემის ან/და ქვეყნების ეროვნული სამართლის ფარგლებში), თეორიასა და პრაქტიკაში მდგარ პრობლემებს და მათი მეცნიერული გადაწყვეტის კონცეპტუალურ მიდგომებს,

A2. სიღრმისეულად ფლობს და იყენებს სამართლებრივი კვლევის, სამეცნიერო წერისა და სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებს.

B. უნარი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

B.1. დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს კვლევას აკადემიურ პატიოსნებაზე დაფუძნებულს, იყენებს რა კვლევის სამართლებრივ მეთოდებს და სამეცნიერო წერის თანამედროვე მეთოდებს, ორიენტირებულია რა ახალი ცოდნის შექმნასა და იმ სტანდარტებით საკითხის დამუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;

B.2. დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას უკეთებს ახალ და წინააღმდეგობრივ სამეცნიერო შეხედულებებს, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომებს, ახალ, აქტუალურ და სადავო სასამართლო პრეცედენტებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ქვეყნების მაგალითებზე, ახორციელებს მათ კომპლექსურ და მრავალმხრივ შედარებას, სინთეზს, ანალიზს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და მიდის სამართლებრივ-ღირებულებით განზომილებებზე დაფუძნებულ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებამდე, იღებს სრულად დამოუკიდებელ, ახლებურ და ეფექტურ გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს სამეცნიერო ღირებულება.

B.3. ადგენს, ცოდნის მიღებისა და კვლევის პროცესში, მიღწეული შედეგების სამეცნიერო/აკადემიური სტანდარტების შესაფერისი დოკუმენტირებისა და დემონსტრირების ხერხებს, მეთოდებს, ფორმებს, ქმნის კარგად სტრუქტურირებულ სამეცნიერო ნაშრომს (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში) ქართულ ანდა ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო და პროფესიული აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევით შედეგებს და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას; წარმოაჩენს დისკუსიისა და კამათის მაღალ აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტს.

B.4. გეგმავს პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ, სალექციო, სასემინარო, პრაქტიკუმისა და ცოდნის გადაცემისა და შეფასების პროცესს, მონაწილეობს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და განვითარებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით ან/და სასწავლო საქმიანობას, რომელიც განმტკიცებულია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით; შეიმუშავებს და ქმნის ახალ ცოდნას ორიენტირებულს/აქცენტირებულს სამართლის განვითარებისაკენ, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესზე პოზიტიური ზეგავლენისა და სამოსამართლეო სამართლის დახვეწისაკენ, რაც ემსახურება, პირველ რიგში, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებას, აგრეთვე, სფეროს დემოკრატიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, ხოლო დარგის/ქვედარგის გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის შიგნით მიღებული სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციურობის დემონსტრირებას.

დასაქმების სფეროები	კავკასიის უნივერსიტეტი, დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან შეთანხმებით, აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ ორწლიან შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა, კურსდამთავრებულმა შეიძლება წარმატებით განახორციელოს პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო/პროფესიული საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჯარო ან კერძო სექტორში, ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, საერთაშორისო ან ეროვნულ პროექტებში, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	ნებისმიერი დარგობრივი/საგანმანათლებლო დაწესებულება მთელი ცხოვრეის მანძილზე სწავლის პრინციპის გათვალისწინებით.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დაცვით. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.

- შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- დოქტორანტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის მინიმუმ 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.
- დოქტორანტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.
- დოქტორანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 42-ის ტოლია.
- დოქტორანტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
- დოქტორანტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.
- შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსით შეიძლება განისაზღვროს შუალედური ან/და დასკვნითი შეფასების უფრო მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების სისტემა უშვებს

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დოქტორანტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი ერთიანი სისტემით და მოიცავს რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასა და სადისერტაციო კომისიის მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებას.
რეცენზენტები სადისერტაციო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 30 ქულით. რეცენზენტების შეფასების ქულა განისაზღვრება მათ მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.
სადისერტაციო კომისია სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს მაქსიმუმ 70 ქულით. საჯარო დაცვის შეფასების ქულა განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.
სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი საბოლოო შეფასება მიიღება რეცენზენტების შეფასების საშუალო ქულისა და სადისერტაციო კომისიის მიერ საჯარო დაცვის შეფასების საშუალო ქულის შეკრებით.
სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ შეფასებებს:

- ფრიადი (summa cum laude) — 91–100 ქულა;
- ძალიან კარგი (magna cum laude) — 81–90 ქულა;
- კარგი (cum laude) — 71–80 ქულა;
- საშუალო (bene) — 61–70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) — 51–60 ქულა;
- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) — 41–50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) — 40 ქულა ან ნაკლები.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების, რეცენზირების, საჯარო დაცვის, განმეორებითი წარდგენისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული დეტალური წესები და პროცედურები განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

სწავლება სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამაში სწავლება–სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის კვლევით და აკადემიურ ხასიათს, დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით ინტერესებს, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. მათი გამოყენება უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ ახალი ცოდნის შექმნის, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, სამართლებრივი წყაროების კრიტიკული შეფასების, აკადემიური კომუნიკაციისა და უმაღლეს განათლებაში სწავლების უნარების განვითარებას.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ფარგლებში გამოიყენება შემდეგი სწავლება–სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული ლექცია და ახსნა-განმარტება — თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების განხილვა პრაქტიკული მაგალითების, კითხვა–პასუხისა და დოქტორანტთა აქტიური მონაწილეობის გამოყენებით;
დამოუკიდებელი და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება — საკვლევი პრობლემის, მიზნის, კვლევითი კითხვების ან ჰიპოთეზის განსაზღვრა, კვლევის დიზაინის შემუშავება, შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის განხორციელება;
სამეცნიერო და სამართლებრივ წყაროებზე მუშაობა — ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის, დოქტრინული მიდგომების, ნორმატიული მასალისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიება, კრიტიკული შეფასება, შედარება, ანალიზი, სინთეზი და სისტემატიზაცია;
პრობლემაზე, შემთხვევასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება — აქტუალური სამართლებრივი პრობლემებისა და პრაქტიკული შემთხვევების კვლევა, მათი მეცნიერული გადაწყვეტის განსხვავებული მიდგომების განხილვა და კვლევითი ან სასწავლო პროექტების შემუშავება;
თემატური და კვლევითი სემინარი — დამოუკიდებლად შესრულებული კვლევის შედეგების განხილვა, სამეცნიერო პოზიციის დასაბუთება და მიღებული შენიშვნების საფუძველზე ნაშრომის სრულყოფა;

დისკუსია, აკადემიური დებატი და სამეცნიერო კამათი — განსხვავებული სამეცნიერო პოზიციების კრიტიკული განხილვა, არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი პოზიციის დაცვა და განსხვავებულ მოსაზრებებზე აკადემიური ეთიკის დაცვით რეაგირება;
აკადემიური წერა — თემატური სასემინარო ნაშრომის, ანალიტიკური ნაშრომის, კვლევითი პროექტის, სამეცნიერო პუბლიკაციისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება სამეცნიერო წერის, წყაროების მითითებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების დაცვით;
პრეზენტაცია და საჯარო დაცვა — კვლევის პრობლემის, მეთოდოლოგიის, მეცნიერული სიახლის, ძირითადი მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების პროფესიული აუდიტორიის წინაშე სტრუქტურირებული წარდგენა, შეკითხვებზე პასუხი და სამეცნიერო პოზიციის დასაბუთება;
ინდივიდუალური კონსულტაცია და განმავითარებელი უკუკავშირი — დოქტორანტისათვის კვლევის დაგეგმვის, მეთოდოლოგიის, წყაროების შერჩევის, არგუმენტაციისა და ნაშრომის სტრუქტურის საკითხებზე ხელმძღვანელის მიერ კონსულტაციისა და რეკომენდაციების გაწევა;
დაკვირვებით და ხელმძღვანელობით პრაქტიკული სწავლება — პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ხელმძღვანელის ზედამხედველობით სემინარის დაგეგმვასა და ჩატარებაში მონაწილეობა, სასწავლო და შეფასების დავალებებისა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
რეფლექსიური სწავლება — განხორციელებული კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის, გამოყენებული მეთოდებისა და მიღებული შედეგების კრიტიკული შეფასება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის გაუმჯობესება;
ელექტრონული და ციფრული რესურსებით სწავლება — სამეცნიერო მონაცემთა ბაზების, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებისა და შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენება.

კონკრეტული მეთოდებისა და აქტივობების შერჩევა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზნებით, შინაარსითა და სწავლის შედეგებით და დაკონკრეტებულია შესაბამის სილაბუსში. გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის დოქტორანტის კვლევითი ავტონომიურობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, აკადემიური კომუნიკაციის, პედაგოგიური კომპეტენციისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებას.

სასწავლო გეგმა

კოდი	სასწავლო კურსი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი	სასწავლო წელი						
		I		II		III		
		I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	ECTS კრედიტი
NSEM 7120	პირველი თემატური სემინარი	20						20
NLRD 7120	იურიდიული კვლევის მეთოდები და დისერტაციის მომზადების სტანდარტები	10						10
NSEM 7221	მეორე თემატური სემინარი		20					20
NSIM 7220	სწავლების ინოვაციური მეთოდები		5					5
NPRA 7220	პროფესორის ასისტენტობა		5					5
	სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი							
NRES 7320	დისერტაციის მომზადება და დაცვა			X				

შენიშვნა:

ა) დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი
დოქტორანტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულოდ ასრულებს:
ორ თემატურ სემინარს — თითოეულს 20 ECTS კრედიტის მოცულობით, რომლებსაც საჯაროდ იცავს შესაბამისი კომისიის წინაშე;
სამ სავალდებულო სასწავლო კურსს:

- „იურიდიული კვლევის მეთოდები და დისერტაციის მომზადების სტანდარტები“— 10 ECTS;
- „სწავლების ინოვაციური მეთოდები“ — 5 ECTS;
- „პროფესორის ასისტენტობა“ — 5 ECTS.

ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი
სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი რეგისტრირდება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე, რომლის შესრულება გრძელდება არანაკლებ ორი წლის განმავლობაში და მოიცავს სადისერტაციო კვლევის განხორციელებას, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და საჯარო დაცვას.
სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან პირველივე სემესტრში დოქტორანტი ვალდებულია სკოლის სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სადისერტაციო თემის სათაური.
აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტს შესაბამის კვლევის სფეროში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია;
სადისერტაციო კვლევის თემასთან დაკავშირებული მოხსენებით მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში.

გ) სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კონფერენციაში მონაწილეობის მოთხოვნები

ორივე სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საკონფერენციო მასალებში. შესაბამის გამოცემას უნდა ჰქონდეს ISSN ან ISBN, საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/კომიტეტი და საერთაშორისო გავრცელება. ორივე სტატია შინაარსობრივად უნდა უკავშირდებოდეს სადისერტაციო კვლევის თემას და ასახავდეს კვლევის ფარგლებში მიღებულ ძირითად შედეგებს.
საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებული ნაშრომი სამეცნიერო სტატიად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს სრულ სამეცნიერო ნაშრომს, გავლილი აქვს რეცენზირება და გამოქვეყნებულია დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამის გამოცემაში.
ორი სამეცნიერო სტატიიდან არანაკლებ ერთი გამოქვეყნებული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს უცხოურ საერთაშორისო ინდექსში შეტანილ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში.
სამეცნიერო სტატია უნდა გამოქვეყნდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული მოთხოვნა არ გულისხმობს ერთი და იმავე სტატიის ორ სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნების ვალდებულებას. სტატიის ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნება შესაძლებელია ერთი სამეცნიერო გამოცემის ფარგლებში ორენოვანი ფორმით ან შესაბამისი გამოცემის მიერ დადგენილი წესით. თუ დოქტორანტი სტატიას აქვეყნებს უცხოურ ჟურნალში, იგი თავისუფლდება ამ სტატიის ქართული ვერსიის გამოქვეყნების ვალდებულებისაგან.
სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ჩაითვლება, თუ იგი გამოქვეყნებულია შესაბამისი სამეცნიერო გამოცემის ბეჭდურ ან ელექტრონულ ნომერში ან განთავსებულია სამეცნიერო გამოცემის ოფიციალურ ვებგვერდზე საბოლოო ელექტრონული პუბლიკაციის ან „online first“ ფორმით.
სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობა ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნაა. საკონფერენციო მოხსენება უნდა უკავშირდებოდეს სადისერტაციო კვლევის თემას და კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობა არ ცვლის ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ვალდებულებას.

დ) ინდივიდუალური კვლევითი გეგმა და ანგარიშგება

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან პირველივე სემესტრში დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას.

ინდივიდუალური კვლევითი გეგმა უნდა მოიცავდეს:

- დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მონაცემებს;
- სადისერტაციო ნაშრომის თემასა და კვლევის მიზანს;
- საკვლევ კითხვას ან/და კვლევის ძირითად ამოცანებს;
- სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას;
- კვლევის მეთოდოლოგიას;
- სადისერტაციო კვლევის ძირითადი ეტაპებისა და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის შესრულების გრაფიკს;
- ორი სამეცნიერო სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების გეგმასა და გრაფიკს;
- სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობის გეგმასა და გრაფიკს;
- კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა შესაბამის ინფორმაციას.

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდეგ დოქტორანტი ყოველი სემესტრის დასრულებისას დებულებით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად წარადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სემესტრულ ანგარიშს.

სემესტრული ანგარიში უნდა მოიცავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის წერილობით განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს. დოქტორანტის მიერ ხელმოწერილი სემესტრული ანგარიში და მასში ასახული სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის წერილობითი განმავითარებელი შეფასება წარედგინება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციულ დირექტორს და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის დოქტორანტს შესრულებული უნდა ჰქონდეს:

- სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები;
- ინდივიდუალური კვლევითი გეგმით განსაზღვრული ძირითადი ეტაპები;
- ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა;
- არანაკლებ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობის მოთხოვნა;
- სემესტრული ანგარიშების წარდგენისა და კვლევითი პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასებების მოთხოვნები;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის მოთხოვნები.

ვ) დამატებითი რეგულაციები

დოქტორანტურასთან დაკავშირებულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და პროცედურულ საკითხებს განსაზღვრავს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.